



## საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის

### ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

2011 წლის 11 თებერვალი

№ 11/04

თბილისი

#### **„კომერციული ბანკების მიმართ ფულადი ჯარიმების განსაზღვრისა და დაკისრების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2009 წლის 25 დეკემბრის N242/01 ბრძანებაში დამატებების შეტანის შესახებ“**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის, „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის და 67-ე მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტების შესაბამისად, ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

**მუხლი 1.** „კომერციული ბანკების მიმართ ფულადი ჯარიმების განსაზღვრისა და დაკისრების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2009 წლის 25 დეკემბრის N242/01 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლს დაემატოს შემდეგი რედაქციის 7<sup>1</sup>-7<sup>4</sup> პუნქტები:

„7<sup>1</sup>.უცხოური ვალუტით მოზიდული სახსრებისათვის სარეზერვო ანგარიშზე არსებული ნაშთის დასაცავ მინიმალურ რეზერვთან დანაკლისის არსებობის შემთხვევაში, ეროვნული ბანკი ბანკს გადაახდევინებს ფულად ჯარიმას სარეზერვო ანგარიშზე ყოველ კალენდარულ დღეს არსებული დანაკლისის თანხის 0,2%-ის ოდენობით. ჯარიმა დაერიცხება ეროვნული ვალუტით, იმ დღეს მოქმედი ოფიციალური გაცვლითი კურსით.

7<sup>2</sup>.ეროვნული ვალუტის საშუალო ნაშთის დასაცავ მინიმალურ რეზერვთან დანაკლისის არსებობის შემთხვევაში, ეროვნული ბანკი ბანკს გადაახდევინებს ფულად ჯარიმას, მოცემული დანაკლისის 2.8%-ს.


7<sup>3</sup>.ყოველდღიური მოზიდული სახსრების მიხედვით გაანგარიშებული საშუალო მოზიდული სახსრების არასწორად გაანგარიშების ფაქტის ეროვნული ბანკის მიერ აღმოჩენის შემთხვევაში, ეროვნული ბანკი დააკისრებს ფულად ჯარიმას ბანკს 10 000

ლარის ოდენობით. არასწორად გაანგარიშების ფაქტის კომერციული ბანკის მიერ აღმოჩენის შემთხვევაში, ბანკს არ დაეკისრება აღნიშნული ფულადი ჯარიმა.

74. ამ მუხლის 7<sup>1</sup> და 7<sup>2</sup> პუნქტებით გათვალისწინებული ფულადი ჯარიმა ბანკს დაეკისრება იმ შემთხვევაშიც, თუ კი დასაცავ მინიმალურ რეზერვებთან დანაკლისი წარმოიშობა საშუალო მოზიდული სახსრების არასწორად გაანგარიშების ფაქტის აღმოჩენის გამო, მონაცემების კორექტირების შედეგად.“.

**მუხლი2.** ამ ბრძანების დაუყოვნებლივ ამოქმედება განპირობებულია, საქართველოში კომერციული ბანკების მიერ მინიმალური, სარეზერვო მოთხოვნების დაცვისათვის აუცილებელი დამატებითი ფულადი სახსრების დროული მობილიზების და საბანკო სისტემაში ლიკვიდობის დეფიციტის თავის არიდების აუცილებლობით.

**უხლი3.** ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.



გ. ქადაგიძე